თამარ ორჯონიკიძე •

ალექსანდრე ლომთათიძის ღვაწლი ••

აბსტრაქტი

ალექსანდრე ლომთათიძე საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი იყო, რომელსაც ასევე ჰქონდა საქართველოს დამფუძნებელი კრების დეპუტატის მანდატიც საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიიდან. 2023 წლის 28 მაისს ალექსანდრე ლომთათიძე დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს. ის უზბეკეთიდან ამავე წლის 26 მაისს ჩამოასვენეს. ლომთათიძე 1924 წელს სწორედ უზბეკეთში გარდაიცვალა და იქვე იყო დაკრძალული. მძიმე ავადმყოფი, გადასახლებული ლომთათიძე 1924 წლის ანტისაბჭოთა აჯანყების შემდეგ აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით კვლავ დააკავეს და მოათავსეს ციხეში, სადაც მალევე გარდაიცვალა 42 წლის ასაკში. ნაშრომში შევეცდებით, მოკლედ წარმოგიდგინოთ ალექსანდრე ლომთათიძის, საქართველოს ეროვნული საბჭოსა და საქართველოს დამფუძნებელი კრების დეპუტატის მოღვაწეობა.

საკვანძო სიტყვები: ალექსანდრე ლომთათიძე; საქართველოს ეროვნული საბჭო; საქართველოს პარლამენტი.

• ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, დოქტორანტი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი.

•• ნაშრომი მომზადდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის - „თანამედროვე ქართული პარლამენტარიზმის სათავეებთან: საქართველოს ეროვნული საბჭო-საქართველოს პარლამენტი“ ფარგლებში. გრანტის კოდი: FR-23-2950

ეროვნული საბჭო

საქართველოს ეროვნული ყრილობა 1917 წლის ნოემბერში მოიწვიეს. ის შედგებოდა საქართველოს პოლიტიკური პარტიების, მუშათა საბჭოების, ქალაქების თვითმმართველობების, ეროვნულ უმცირესობათა და სხვათა არჩეული წარმომადგენლებისაგან. ეროვნულმა ყრილობამ ამავე წლის 22 ნოემბერს აირჩია ეროვნული საბჭო, რომელიც თავდაპირველად შედგებოდა საქართველოს ძირითადი პარტიების წარმომადგენლებისაგან, საბჭოს შემადგენლობაში იყვნენ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებიც. აღმასრულებელ კომიტეტს კი ნოე ჟორდანია ხელმძღვანელობდა. საქართველოს ეროვნული საბჭოს საქმიანობაში ყველაზე მნიშვნელოვანია 1918 წლის 26 მაისს ქვეყნის დამოუკიდებლობის აქტის მიღება.

საქართველოს ეროვნული საბჭოს - საქართველოს პარლამენტს (1917-1919) განსაკუთრებული ადგილი უკავია საქართველოს უახლეს ისტორიაში. ეროვნულმა საბჭომ მოამზადა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, ამავე დროს, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ჩამოყალიბდა საკანონმდებლო ორგანოდ და საფუძველი ჩაუყარა დემოკრატიული საპარლამენტო ცხოვრების, დემოკრატიული კანონმდებლობის შემუშავების ტრადიციას.

ეროვნული საბჭო - საქართველოს პარლამენტი ეტაპობრივად ყალიბდებოდა და სახეს იცვლიდა:

ა) იცვლებოდა მისი შემადგენლობა - არჩევის შემდეგ (60 წევრი) მის შემადგენლობაში შევიდნენ ამიერკავკასიის სეიმის წევრები საქართველოდან, ასევე საქართველოში მცხოვრები ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები. 1918 წლის სექტემბრის მონაცემებით, საქართველოს ეროვნულ საბჭოში უკვე 151 წევრი შედიოდა;

ბ) იცვლებოდა მისი საქმიანობის ხასიათი - თავიდან ეროვნულ საბჭო აღმასრულებელ-საკანონმდებლო ორგანო იყო, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ კი გახდა საკანონმდებლო-

მაკონტროლებელი ორგანო. 1918 წლის 8 ოქტომბერს ეროვნულ საბჭოს საქართველოს პარლამენტი ეწოდა.

საბჭოთა პერიოდში საქართველოს ეროვნული საბჭოს შესახებ მხოლოდ გაკვრით იწერებოდა და ისიც კრიტიკულად, ემიგრაციაში კი მისი საქმიანობის შესწავლა შეუძლებელი იყო - სათანადო მასალები საქართველოში, - საბჭოთა არქივებში იყო ჩაკეტილი. პოსტსაბჭოთა პერიოდში შეიქმნა რიგი ნაშრომები საქართველოს ეროვნული საბჭოს საქმიანობის შესახებ, თუმცა რჩება მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც შემდგომ მეცნიერულ ანალიზს საჭიროებს.

ალექსანდრე ლომთათიძის მოღვაწეობა ეროვნულ საბჭოსა და დამფუძნებელ კრებაში

ალექსანდრე ლომთათიძე მარქსისტული წრეების საქმიანობაში გიმნაზიაში სწავლისას ჩაერთო. ხარკოვის უნივერსიტეტში სწავლისას კი იყო სტუდენტური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერი. ლომთათიძე რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მენშევიკურ ფრაქციას შეუერთდა და აღნიშნული ფრაქციის სიით 1917 წელს აირჩიეს რუსეთის დამფუძნებელი კრების დეპუტატად; მანამდე კი პოლიტიკური ბრალდებით დააპატიმრეს და გაასახლეს.

1917 წელს ალექსანდრე ლომთათიძე არჩეულ იქნა საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრად, 1918 წლის თებერვლიდან კი ამიერკავკასიის სეიმის წევრად. 1918 წლის 26 მაისს ალექსანდრე ლომთათიძემ ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს.

ალექსანდრე ლომთათიძე 1919 წლის მარტში აირჩიეს საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრად საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სიით. ის იყო კრების პრეზიდიუმის წევრი, საარჩევნო კომისიის წევრი და კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი. კრების თავმჯდომარე, ნიკოლოზ ჩხეიძე დაუსწრებლად იქნა არჩეული თანამდებობაზე, სახელმწიფო

ინტერესებიდან გამომდინარე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის განმავლობაში საკმაოდ დიდხანს იმყოფებოდა საზღვარგარეთ და მის ადგილს სწორედ ალექსანდრე ლომთათიძე იკავებდა, უმეტესწილად ის წარმართავდა საკანონმდებლო ორგანოს მუშაობას.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ 1921 წელს, ლომთათიძე საქართველოში დარჩა და ჩართული იყო წინააღმდეგობის მოძრაობაში. საქართველოს დემოკრატიული ხელისუფლების წარმომადგენლები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საომარ პროცესებში, ფრონტზე ჯარისკაცთა მოსანახულებლად და მათ გასამხნევებლად დადიოდა ალექსანდრე ლომთათიძეც. სწორედ მან ახარა სასახლესთან შეკრებილ ხალხს გამარჯვების შესახებ 1921 წლის 19 თებერვალს - „საქართველოს დემოკრატიამ უნდა გაათავისუფლოს ამ ბოლშევიკური ტირანიისგან არამარტო საქართველო, არამედ მთელი აღმოსავლეთი“. ოკუპაციის დღეებში, გაზეთ „ერთობაში“ გამოქვეყნდა ერთა ლიგის საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარის[1], ალექსანდრე ლომთათიძის წერილი, რომელშიც ის საერთაშორისო ორგანიზაციას საქართველოს დაცვას სთხოვდა. კერძოდ, ლომთათიძე ერთა ლიგის ხელმძღვანელებს მიმართავდა - „მივაქცევთ რა მთელი განათლებული კაცობრიობის ყურადღებას რუსეთის საბჭოთა მთავრობის ასეთ ველურობას, გამოვსთქვამთ ჩვენს ღრმა აღშფოთებას და ვაცხადებთ პროტესტს, რათა ევროპის ხალხებმა ხმა ამოიღონ საქართველოს დასაცავად ველურთა ურდოებისგან. ქართველი ხალხი კი თავის მხრივ საქვეყნოდ აცხადებს, რომ მას შეურყევლად აქვს გადაწყვეტილი სამშობლოს დაცვა წითელი ბარბაროსებისგან. ის იარაღით ხელში ბრძოლის ველზეა გასული, თავს დასდებს იქ, მაგრამ თავისუფალ და დემოკრატიულ სამშობლოს არ დათმობს“.

[1] ერთა ლიგის საქართველოს საზოგადოება 1919 წლის დეკემბერში დაარსდა. ის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ ლიგაში გაწევრიანებისათვის შეიქმნა და მისი მიზანი იყო ამ საკითხის პოპულარიზება.

ალექსანდრე ლომთათიძე დააპატიმრეს 1921 წლის ივლისში, მას შემდეგ, რაც თბილისში ჩამოსულ იოსებ სტალინს მუშათა კლუბში შეკრებილებმა მოუწყვეს დესტრუქცია და ფაქტობრივად გააძევეს სცენიდან. ლომთათიძე გადაასახლეს, მალევე კი მძიმედ ავადმყოფს საშუალება მისცეს ტაშკენტში გადასულიყო საცხოვრებლად. 1924 წელს, საქართველოში ანტისაბჭოთა აჯანყების შემდეგ კი ის კვლავ დააპატიმრეს და ციხეში მოათავსეს, სადაც გარდაიცვალა კიდეც 1924 წელს და დაკრძალეს ტაშკენტის ქრისტიანთა სასაფლაოზე.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 5 მარტის განკარგულებით შეიქმნა სამთავრობო კომისია ალექსანდრე ლომთათიძის საქართელოში ჩამოსვენების დაგეგმვის მიზნით. 2023 წლის მაისში ალექსანდრე ლომთათიძის ნეშტი საქართველოში გადმოასვენეს. დაკრძალვამდე სამების საკათედრო ტაძარში გაიმართა სამოქალაქო პანაშვიდი, რომელსაც ხელისუფლებისა და საპატრიარქოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ. მათ აღნიშნეს ალექსანდრე ლომთათიძის განსაკუთრებული როლი საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებასა და ოკუპაციის საწინააღმდეგო მოძრაობებში.

გამოყენებული ლიტერატურა

მაცაბერიძე, მ. ჯანელიძე, ო. იაკობაშვილი, ი. სურგულაძე, პ. ორჯონიკიძე, თ. და ზედგინიძე, ნ. (2022). *საქართველოს დამფუძნებელი კრება: ქართული პარლამენტარიზმის გამოცდილება.* თბილისი.

საქართველოს მთავრობის განკარგულება N475. 2020 წლის 5 მარტი. *ქართველი პოლიტიკური სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, ალექსანდრე ლომთათიძის ნეშტის უზბეკეთის რესპუბლიკიდან საქართველოში გადმოსვენების დაგეგმვის მიზნით სამთავრობო კომისიის შექმნისა და მისი საქმიანობის ხელშესაწყობად განხორციელებული ღონისძიებების თაობაზე.*

საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია. *ალექსანდრე ლომთათიძე* https://firstrepublic.ge/ka/biography/144

დამფუძნებელი კრების წევრები ფრონტზე იმყოფებიან https://civil.ge/ka/archives/399179

რეხვიაშვილი, ჯ. (28 მაისი, 2023). *საბჭოთა ველურობასთან ბრძოლას შეწირული ალ. ლომთათიძის სხეული სამშობლოს დაუბრუნდა.* რადიო თავისუფლება. https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%A0%E1%83%94-%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%90%E1%83%97%E1%83%98%E1%83%AB%E1%83%98%E1%83%A1-

Tamar Orjonikidze

Aleksandre Lomtatidze

Abstract

Aleksandre Lomtatidze was a member of the National Council of Georgia, who also had the mandate of a deputy of the Constituent Assembly of Georgia from the Social Democratic Party of Georgia. On May 28, 2023, Aleksander Lomtatidze was buried in the Didube Pantheon. He was transferred for burial from Uzbekistan on May 26 of the same year. Lomtatidze died in Uzbekistan in 1924 and was buried there. After the 1924 anti-Soviet uprising, Lomtatidze, who was seriously ill and exiled, was arrested again and imprisoned on charges of participating in the uprising where he died at the age of 42. In this paper, we will try to briefly present to you the work of Aleksandre Lomtatidze, a deputy of the National Council of Georgia and the Constituent Assembly of Georgia.

Keywords: Aleksandre Lomtatidze; National Council of Georgia; The Parliament of Georgia.